თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 250
"20" 05 2015

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ვ", „ლ", „პ" და „უ" ქვეპუნქტების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის მეშვეობით განხორციელების მიზნით, დამტკიცდეს კონკურსის წესი და პირობები დანართის №1 შესაბამისად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით ნარმანია – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) დიმიტრი ქუმსიშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ყ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

გ) გიორგი ალიბეგაშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
დ) გიორგი ტყემალაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (კომისიის წევრი);
ე) გოჩა ბაბუნაშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);
ვ) ბიძინა გიორგობიანი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
ზ) ირაკლი ბერეკაშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
თ) გიორგი გურგენიძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
ი) ნინო ღოღობერიძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წევრი);
კ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები.

4. საკონკურსო კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ამავე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის შესაბამისად;

5. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს კომისიის აპარატმა შემდეგი შემადგენლობით:
ა) ნინო გვენცაძე;
ბ) ივანე ოტიაშვილი;
გ) გელა ტალახაძე;
დ) ივანე ჩოხელი;
ე) ნოდარ ჭალაგანიძე;
ვ) თამთა ლომიძე;
ზ) გიორგი ქიტესაშვილი;
თ) ირმა ალიმბარაშვილი.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ღოღობერიძე**